პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 281 (19428) ◆ კვირა, 8 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

თვისებრივად ახალი ეტაპი

პარტიის საპროგრამო მიზნების გამომხატველი საყრილობო დოკუმენტების პროექტების ყოველი სტრიქონი თითოეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრებ გამომაურებას პოულობს. ყოველმხრივ, საგნობრივად განიხილავენ რა მათ, საქართველოს მშრომელები ამავე დროს აქტიურად მონაწილეობენ მეთერთმეტე ხუთწლედისა და მისი დამამთავრებელი წლის დავალებათა უფრო შესრულებისათვის, სკკკ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე მსჯელობის საგანი გახდა თერთმეტი თვის გეგმის შესრულების შედეგები, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სისტემის სრულყოფის პრობლემები, წლისა და ხუთწლედის დამლევამდე დარჩენილ პერიოდში კონკრეტული საწარმოო-ეკონომიური ამოცანები. სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ჩხეიძემ.

ბიუროს სხდომაზე გამოვიდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. გ. ჭუბანია, პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კოჩიევი, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი თ. ი. უნანეიშვილი, რუსთაველის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" გენერალური დირექტორი გ. ტ. გოგოლაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომის მუშაობას ახასიათებდა საქმიანი ატმოსფერო, მისწრაფება კრიტიკულად შეეფასებინათ მიღწეული, გამოევლინათ ნაკლოვანებანი, დაესახათ მომავალი პერიოდისათვის მოქმედების მკაფიო პროგრამა. აღინიშნა, რომ ახლა, წლისა და მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელ ეტაპზე, მეთორმეტე ხუთწლედის დამდეგს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ურთულესი და არნახული ამოცანები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური და სოციალური სფეროებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების, მისი სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხები.

ჯეროვნად შეფასეს რა გაწეული მუშაობა და დადებითი შეფასება მისცეს მთელი რიგი შრომითი კოლექტივების საქმიანობას, რომლებმაც უზრუნველყვეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შეთანხმებული მუშაობა, გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა გამსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საგეგმო, საფინანსო და შრომის დისციპლინის მდგომარეობის კრიტიკულ ანალიზს. დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს საგეგმო დისციპლინის მაღალ დონეს. ეს უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა და ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ადგილია რესპუბლიკის ეკონომიკაში. ამიტომაც ვერ აღწევენ ხუთწლედის მიღნებს წარმოების ზრდის ტემპის მიხედვით ელექტროენერგეტიკის, ნავთობისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის, შაქი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური, ჩარხსაშენებელი, ხელსაწყოთმაშენებელი და საავტომობილო მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, ზოგიერთი სხვა დარგის საწარმოები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხუთწლედის დამდეგიდან რესპუბლიკის ჩამორჩენილმა საწარმოებმა მომზმარებელს დააკლეს 480 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ობიექტურად შეაფასეს რა საქმის ვითარება, ბიუროს გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ყოველივე, რაც ხუთწლედის დამდეგს იყო დასახული, თანამიმდევრულად და ეტაპობრივად ნელი სრულდება, ყველგან და ყოველთვის როდი იგრძნობა ნაკისრი ვალდებულებებისადმი, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისადმი შემოქმედებითი, საქმიანი მიდგომა. ამის შედეგად მეთერთმეტე ხუთწლედის გასვლილ პერიოდში მარტო რესპუბლიკის მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგებმა სამ მილიონ კაცდღეს გადააჭარბა. მანქანათმშენებელ საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე 85 პროცენტს არ აღემატება. არადა, მისი მარტო ათი პუნქტით გადიდება, რაც საესებით რეალური, დამატებით 90 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობას მოგვაგებდა. ბიუროს შრომითა კოლეგიაში ნელა მიმდინარეობს წარმოების ტექნოლოგიური განახლება, მისი კომპიუტერული მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

ამგვარი უარყოფითი მოვლენები ძირითადად იმით არის გამოწეული, რომ პარტიული ორგანიზაციები სამეურნეო საქმეებში ჩაურევლობის პოზიციას ადგანან, არ ეწევიან კოლექტივებში სათანადო ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას. ბევრი ადგილობრივი პარტიული კომიტეტი არსებითად თავად ჩამორჩენდა საკადრო პოლიტიკას დიდ სამრეწველო საწარმოებში და ამავე დროს ზოგჯერ დაუსაბუთებლად ეწევიან კადრების გადაადგილ-გადმოადგილებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დონეზე.

გაფართოებულ სხდომაზე ყურადღება მიეპყრო იმას, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებებს, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ორგანიზაციის [illegible] ლმძღვანელობ[illegible] ნი[illegible] რომ ყოველ[illegible] კავშირის [illegible] რეალიზაცია. მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეშიც ბევრი ნაკლია. მაგალითად, რესპუბლიკის ხეხილის ბაღებში სიმკრეფე 14 პროცენტს აღემატება, ვენახებში — 20-ს, ციტრუსების ბაღებში — 14 პროცენტს. მარტო ამ მიზეზით მეთერთმეტე ხუთწლედში ნელადან გაეუშვით 360 ათასი ტონა ყურძნის, 115 ათასი ტონა ხილისა და 40 ათასი ტონა ციტრუსის დამატებით წარმოების შესაძლებლობა. შემამფოფოებელი ვითარება შეიქმნა მეცხოველეობაშიც. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის გამოსაზრდელი და სასუქმეული კომპლექსების სიმძლავრეთა თვისებს არ აღემატება 60-66 პროცენტს, კვერცხის წარმოებისა და საბრაილერო მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკებისა — 74-77 პროცენტს, რძის წარმოების კომპლექსებისა — 38 პროცენტს. ეფექტიანად არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

თვალსაჩინეა, დეზინფორმაცია, მოჩვენებითობა, რომლებიც გავრცელებულია ცალკეულ რაიონებში, სეზონურ ნაკლოვანებებს იწვევს. მაგალითად, თუმცა ბოსტნეულის შესყიდვის საგეგმო დავალებანი სტაბილურად სრულდება, მაგრამ მთლიანად მათ ქრონიკულად ფუშავენ საზოგადოებრივი მეურნეობები. ძირითად მებოსტნეობის რაიონებში — მარნეულის, გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში — საზოგადოებრივ მეურნეობებში დამზადების გეგმების მნიშვნელოვანი მეუსრულებლობის პირობებში დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მოსახლეობისაგან პროდუქციის შესყიდვის გეგმებს. როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ იძლევიან თითქმის ნახევარ პროდუქციას, ხოლო მოსახლეობა ოთხჯერ აჭარბებს გეგმას, როგორც ეს ხდება მცხეთის რაიონში, ეს უნებლიად ირასასურველ აზრებს ბადებს. ამავე რაიონში გამოვლენილია წამატების, თვალისაჯვეის ფაქტები სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და მოსახლეობისაგან პირუტყვის შესყიდვის დროს. შეინიშნება სხვა სეზონიული ნაკლოვანებებიც, მაგრამ პარტიის რაიკომი არ აძლევს მათ პრინციპულ შეფასებას.

გაფართოებულ სხდომაზე დეტალურად გაანალიზეს მუშაობა სახელმწიფო ფონდების სწორი ათვისებისათვის.

ყოველდღიურ საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდებისა და სამძლავრეების ამოქმედება. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვთ მუშაუქმი მრეწველობის სამინისტროს, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, გამსახკომს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, სპეცტრანსს სახელმწიფო კომიტეტს. დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა იმ ობიექტების ამოქმედების საქმეში, რომლებიც დაკავშირებულია სასუსრსთო პროგრამის რეალიზაციასთან. უკეთ ვერ არის საქმე ცალკეულ რეგიონებშიც, განსაკუთრებით აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში გაგრაში, სოხუმში, ტყვარჩელში, ცხინვალში, რუსთავში, ქუთაისში, მარნეულში, ჭიათურასა და წყალტუბოში.

სერიოზული სიძნელეები შეიქმნა სამინაო მშენებლობაშიც. ეს ფენომენი ყოველსა ეხება აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, აჭარის ასს რესპუბლიკას, ქალაქებს თბილისს, ქუთაისს, ჭიათურას, რუსთავს და გორს.

მკაცრად ილაპარაკეს საფინანსო დისციპლინის დარღვევებზეც. ხუთწლედის დამდეგიდან, მაგალითად, მარტო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სამეურნეო საწარმოებში საბარუნავი სახსრების ნაკლებობა თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა და 450 მილიონი მანეთი შეადგინა. ერთისამად და მეტად გაიზარდა ვადაგასული დავალიანების თანხა, რომელმაც ორ მილიარდ მანეთს დადაჭარბა, გადიდდა ბარიერი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთები. მეტად საკვირველია, მაგრამ საფინანსო დისციპლინის დარღვევები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მშენებლობის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, ხილმოსტნეულის მეურნეობის სამინისტროებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისათვის.

მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს მუშაობა ქმედითი ეკონომიკური სტიმულების გამოყენების, შრომის ეკონომიკური სტიმულირების როლის გადიდების მიზნით, აღინიშნა გაფართოებულ სხდომაზე. ამავე დროს კი რესპუბლიკაში შიდასამეურნეო ანგარიში სრულყოფილი ფორმით პრაქტიკულად ჯერ არ დანერგილა არც ერთ რაიონში, დმანისის რაიონის გარდა, თუმცა ეს მუშაობა უკვე ოცი წელია წარმოებს.

სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს ორატორებმა პროდუქციის, განსაკუთრებით საქსპორტო პროდუქციის ხარისხის გამო, რომლის მრავალი სახეობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, კონკურენტუნარიანი არ არის საგარეო ბაზარზე. დაისვა საკითხი: როგორ შეიძლება ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ახალ ხუთწლედს — ენერგიული სტარტი

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

სურათზე: თბილისი, 1985 წლის 7 დეკემბერი. საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის სხდომათა დარბაზში.
გ. კიკვიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზუსტი და სისხლსავსეა საბჭოთა საქართველოს შრომითი მაჯისცემა. მეთერთმეტე ხუთწლედის ფინიშზე რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მოკავშირეად გაიხდეს რა მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი, ზრდიან წარმოების ეფექტიანობას, სიმჯდეო ბაზას უქმნიან ახალ სამეურნეო ხუთწლეულს. ისინი გულდაჯერებით უტეკენენ ქეკანსის და რესპუბლიკის კომუნისტთა წინა ფორუმების მიერ განსაზღვრულ მოვალეს და ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სკკკ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

შრომითი კოლექტივების წინაშე დასახული მასშტაბური ამოცანების რეალიზაციაში უტყუარი ორიენტირები გახდა პარტიის საყრილობო დოკუმენტები, რომლებიც საყოველთაო-სახალხო განხილისათვის არის გამოტანილი. მხურვალედ იწონებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტების, მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი, ყველა შრომელი ამით ამოწვნეულ თავიანთ მომდინარე და პერსპექტიულ საქმეებს, აყენებენ კონსტრუქციულ წინადადებებს.

ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების განხილვის სეორთო-პარტიული, საერთო-სახალხო ხასიათი ახალი ძალით გამოვლინდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მუშაობის დღეებში. სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების მიერ გაკეთებულ მოხსენებაში, ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებები ჰკიდიდ ჰკიდია ბრძენები საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გრანდიოზული პროგრამის შესრულების გზები და საშუალებები. ადამიანისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის ზრუნვით გამსჭვალულმა ამ პროგრამამ ყველგან ახალი შრომითი და შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია. საქმით უპასუხებენ რა ამ ზრუნვას, რესპუბლიკის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამოცანების მიღწეული, თვალი მეცადინეობა მოიხმარონ მიმდინარე ხუთწლედის წარმატებულ შესრულებას, კომუნისტური აღმშენებლობის დიდებულ ამოცანათა პრაქტიკულ განხორციელებას.

მტკიცე გადწყვეტილებით, შეასრულონ დასახული ამოცანები, უზრუნველყონ რესპუბლიკის დაჩქარებული ძლევამოსილი წინსვლა, შეიკრიბნენ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლის პირველი სხდომა გაიხსნა 7 დეკემბერს, დილის 10 საათზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ნ. ვ. გურგენიძე, ე. ჩ. კვარჩია, ა. კ. ღლაღაშვილი, ბ. ვ. ტეხოვი.

მთავრობის ლოჟაში არიან ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ზ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. გაბუნია, პ. ვ. გელაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტავაშვილი, დ. ლ. ჭართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ზ. ა. ჩხეიძე, გ. დ. ფალეაძე, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანკაოევი, ე. კ. შარტავა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და თავმჯრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

შეკრებილმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ა. მ. ბარაბაძის, ვ. დ. კუპრაძის, ა. ა. ნაზარეთიანის, თ. ა. ყუფუნიას, გ. ბ. ჭარაქაშვილის, ხსოვნასა, რომლებიც სესიიებს შუა პერიოდში გარდაიცვალნენ.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ შ. ვ. ყარყარაშვილის მოხსენება გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეულნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების უფლებამოსილების შემოწმების შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ცნონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებანი: ვ. ა. რაზმაძისა, რომელიც არჩეულია სამტრედიის რაიონის საკვანძოს საარჩევნო ოლქში; დ. თ. სვანენლისა — წალენჯიხის რაიონის არბოშიკის საარჩევნო ოლქში; ს. ბ. ტატიანიანისა — ახალციხის რაიონის არაკეთის საარჩევნო ოლქში; ი. ვ. ფარანიშვილისა — ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის მარჯვის საარჩევნო ოლქში; რ. გ. ჩხეიკაძისა — გორის რაიონის ატენის საარჩევნო ოლქში.

დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

სესიის განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში;

2. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა;

3. საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება;

4. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ზ. შ. მესხიშვილის ინფორმაცია სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მუშაობის შესახებ;

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე სიტყვა ეძლეგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, დეპუტატ ა. ბ. გელაშვილს.

უმაღლესმა საბჭომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დეპუტატი ჯ. ი. პატიაშვილი ერთხმად აირჩია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

მოხსენება სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ჩხეიძემ.

მოხსენება დღის წესრიგის მესამე საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა დ. ნ. დვალიშვილმა.

ამ ორ საკითხზე დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მოდმი კომისიათა თანამოხსენები, რომელიც წაკითხა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა;

მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: კ. ვ. კალანაძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ი. ხ. გუბაზია — სოხუმის საოლოკომიტეტი დეპუტ მემბერანე.

ცხადდება შესვენება. შესვენების შემდეგ სხდომას უძღვება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი ბ. ვ. ტეხოვი.

განახლებულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: გ. ნ. ჯიბლაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, ა. კ. ღლაღაშვილი — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყათის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, ი. ა. ხარაბაშვილი — საქართველოს სსრ შშენებლობის მინისტრი, ო. მ. ბოკერია — საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, შ. ა. ქოქოვი — ზნაურის რაიონის ელვების საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, ნ. მ. მგალობლიშვილი — საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გაგეკონის თავმჯდომარე, ბ. ზ. მაყაშვილი — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, ო. ა. ბოფერია — საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. გ. გრიგოლია — ქუთაისის მოტორლოკომოტივების ქარხნის ხარატი, ს. ბ. სტეფანიანი — საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი, ჯ. ი. გუგუჩია — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მარცვლის საბჭოთა კოლეგიურობის გამგეობის თავმჯდომარე.

სახელმწიფო პოზიციებიდან, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განიხილეს დეპუტატებმა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის და ბიუჯეტის პროექტები. ხალხის რჩეულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ყოველთვის ინტენსიფიკაციას, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ. მთ გააანალიზეს ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდების, მთელი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის დამატებითი შესაძლებლობანი.

დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სესიის განსახილველად გამოტანილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სესიის სალამის სხდომას უძღვებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი ნ. ვ. გურგენიძე.

სამოლოო სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ზ. ა. ჩხეიძემ.

სესიიან ერთხმად დაამტკიცა კანონი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ. იღებენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინეს დეპუტატ დ. ნ. დვალიშვილის სამოლოო სიტყვა.

ერთსულოვნად ამტკიცებ ბ ე ნ ანონს საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და იღებენ დადგენილებას რესპუბლიკის 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე.

ინფორმაცია დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე გააკეთა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, დეპუტატმა ზ. შ. მესხიშვილმა.

კამათში ამ საკითხზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი, დეპუტატი ბ. შ. შოშტაიშვილი, თბილისის სსრ კანონის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ტტეიფრავი, დეპუტატი ს. კ. ორლოვა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, დეპუტატი ი. ბ. ბაზარაძე, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი კ. თ. ხალია.

გააანალიზეს რა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. საქართველოს დედაქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა, ორატორებმა განაზოგადეს ამ შეძენილი დადებითი გამოცდილება, ყურადღება მიაპყრეს უპირველეს ამოცანებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს ქალაქისა და რესპუბლიკის კომენისტთა უმაღლესი ფორუმების წინ.

განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო დადგენილება.

დეპუტატებმა მოისმინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ თ. ვ. ლაშკარაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

ცოტა ხნის წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსისა და ენერგეტიკის კომისიების წევრებმა, დეპუტატებმა ჯ. ი. გუგუჩიამ, ა. ზ. ოლოჯაშვილმა, ჯ. ს. გაბრიელიანმა და პ. ს. კულეკოვმა შეკითხვის წესით დააყენეს საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან. ამ კომისიათა სხდომებზე სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის ეკონომიის სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულების მდგომარეობის განხილვამ ცხადყო, რომ მთელ რიგ ღონისძიებათა მიუხედავად ჯერ კიდევ ნელია სოფლების ელექტრიფიკაციის ტემპი, მცირეა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ენერგოდატევადობის დონე, არადამაკმაყოფილებლად სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 8 მაისის დადგენილებანი „სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

კომისიებს აინტერესებთ, თუ რა მუშაობა წარმოებს რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და რა ღონისძიებანია დასახული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სრული ელექტრიფიკაციისათვის, ელექტრომოწყობილობათა და სათადარიგო ნაწილებით სასოფლო-სამეურნეო ობიექტების უზრუნველყოფისათვის, სოფლების ელექტრიფიკაციისათვის 1986 წელსა და მეთორმეტე ხუთწლედში მოლიანად.

დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხზე უპასუხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა ვ. ი. ვადაკერაძემ.

სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სესიაზე შეიტანეს ზოგიერთი ცვლილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიიან მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

თვითმფრინავმშენებელთა აქტივის კრება

ბაიმართა თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრების მონაწილეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ომ სფეროველზე, რომ კარგი ნალეწილად დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციების როლი საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფაში, დაიხვეწოს ტექნიკა და ტექნოლოგია, ხარისხის მართვა.

გაერთიანების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, სსრ კავშირის მინისტრის მოადგილე ა. ბ. ბოლობოტი და გენერალური კონსტრუქტორი მ. პ. სიმონოვი.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის მოხსენება

კანონიერებულ ამხანაგო დეპუტატებო!

მთელ საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი რესპუბლიკა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან, პასუხსაგებ ეტაპზეა. მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების ცვლილებათა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა.

ორი ხუთწლედის მიჯნაზე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე გაჩალებულია დაძაბული მუშაობა საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება XXVII კონგრესის ღირსეული შეხვედრისათვის. საბჭოთა ხალხს სული მხარდაჭერით სარგებლობს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარე საერთაშორისო პოლიტიკა.

ახლახან, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მოწოდებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითადი დავალებები. სესიაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს მ. ს. გორბაჩოვს მოხსენებაში, საბჭოთა ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკვანძო პრობლემებზე მოცემულია პრინციპული დასკვნები და მითითებები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა პარტიულმა, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანომ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ და ფრონტმა კოლექტიგის თავის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ამ ამოცანების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, რომელიც ძირითადად მოიფარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ წამოყენებულ ამოცანებს.

მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა თავისი პრინციპული მიზნებასახულია ოპ ბ ი ი მ ბ ლ ი ნ ა ნ ა ბ ე ბ ი ნ ა ბ ე ბ ი ს ბ ა ნ ა ბ ე ბ ი ს ბ ა ნ ა ბ ე ბ ი ს ბ ა

საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

რეპუბლიკური ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის, დეპუტატ დ. ნ. დვალიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

დღევანდელი სესია მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საზოგადოებასთან ერთად განხილავენ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების ახალ რედაქციას, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებს.

ამ დოკუმენტებში პარტიამ განაზოგადა სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად მორიგი ხუთწლეულისა და ხანგრძლივი პერსპექტივის სტრატეგია, რომელიც საბუნებრივ შეესაბამება ჩვენი დიდი ქვეყნის თბილეული მშრომელის სასიცოცხლო ინტერესებს და საზოგადოების თავდაცვის ძლიერების განმტკიცების საქმეს.

წარმატებული შრომით გაგვარკვეს ჩვენი სამრეწველო საწარმოების მუშაკებმა. ხუთწლეულის დამამთავრებელი წლის თებერვალში სამრეწველო პროდუქციის ზრდაში გეგმა შესრულდა 101,9 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 177,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გადაჭარბების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა შრომის კოლექტივებში ფართოდ გაშლილი მასობრივი პატრიოტული მოძრაობა პარტიის იმ მითითებათა სარეალიზაციოდ, რომლებიც ითვალისწინებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების დაშეტვინის შემცირებას. ეს ღონისძიებები ვალდებულებანი რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება.

არაჩვეულებრივი კლიმატური პირობებს მიუხედავად, ასევე დიდი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდისა და ბიუჯეტის ფინანსებზე ეფექტიანობის ამაღლებაში. ეს იგი 11,1 პროცენტით მეტს, ვიდრე 1985 წელს. მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების დახმარებისთვის კი — 4,3 მილიონი მანეთი.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა მმართველობითი აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი სტრუქტურის გაიაფებისათვის.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები გადავიდა დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვის ორრგოლიან ფორმაზე. მაგრამ ამ მიმართულებით არსებული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესასრულებლად მომავალშიც გაგრძელდება მუშაობა სამმართველო აპარატის სრულყოფისა და გაიაფებისთვის. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად 1986 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ბიუროკრატიული აპარატის მუშაკთა შესანახი ხარჯების ეკონომია — 8,4 მილიონი მანეთი.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების საერთო მოცულობა 1986 წლის პროექტით განსაზღვრულია 960,1 მილიონი მანეთის ოდენობით. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად 1986 წლის პროექტთან ერთად შემოაქვს საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი შესრულდა 3 მილიარდ 202 მილიონ 683 ათასი მანეთით, ანუ 105,5 პროცენტით, ხოლო გასავალმა შეადგინა 3 მილიარდ 126 მილიონ 917 ათასი მანეთი. შემოსავალმა გასავალს 75 მილიონ 766 ათასი მანეთით გადაჭარბა.

გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ რესპუბლიკის შრომელები მთელ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ კომუნისტური პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, 1986 წლის გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა წარმატებით შესრულებას, ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. (ტაში).

იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

მარშალ გელოვანის სსოვნის პატივსაცემად

თბილისი ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის დარბაზში საქართველო საიუბილეო საღამოთი დამთავრდა ჩვენს რესპუბლიკაში ზეიმი, რომელიც მიეძღვნა სანეინრო ჯარების მარშალის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ა. ვ. გელოვანის დაბადების 70 წლისთავს. მხედართმთავრის პატივსაცემად საღამოზე და დილები გაიმართა ბაკუდე ამერკაკავასის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ოფიცერთა სოლარ სახლში, თბილისისა და ცაგერის საშუალო სკოლებში, რომლებიც მისი სახელობისაა.

საიუბილეო საღამოზე მოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირტელი, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, ა. ვ. გელოვანის ოჯახის წევრები, მოსკოველი და სევასტოპოლელი ტუხრები, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს, წითელდროშოვანი შაი ზღვის ფლოტის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საღამოს პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. ელაშვილი, ბ. ვ. ნიკოლაკი, ტ. ვ. როსტაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ვ. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები გ. გ. გუმბარიძე და ა. პ. საყვარელიძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულევიჩი, საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთკიფანიძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი — ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ა. ნ. კლეიმენოვი.

საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

• • •

იმავე დღეს მარშალ გელოვანის სახელი საზეიმო ვითარებაში მიენიჭა საქართველოს დედაქალაქის ახალ პროსპექტს. ამიერიდან მისი სახელობისაა მაგისტრალი, რომელიც ტბილისის ნაირის მიუყვება ბგაჩარნის ქუჩიდან დიღმის მასივში შესასვლელამდე. ეკ ბიოსნენ მემორიალური დფფა ა. ვ. გელოვანის ბარელიეფი.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ლიტინგი გახსნა თბილისის საკალაო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. შ. ზესხოშვილმა.

ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე გ. გ. გუმბარიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, მარშალ გელოვანის ოჯახის წევრები. (საინფორმაციო).

3 ეროვნული

3 ეროვნული

3 ეროვნული

ტიციან ტაბიძის დაბადების 90 წლისთავის გამო

ქართული პოეზიის რაინდი

ტაბიძეების გვარმა ორი დიდებული პოეტი აღიზარდა საქართველოს. მათ სახელებს გვარის გარეშე იხსენებს მადლიერი შთამომავლობა. ეს არის ყოველი დროის ხელოვნისათვის საოცნებო დიდი სიყვარულისა და სანაღვლო აღიარების ქეშმარიტი დასტური.

მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას ტიციან ტაბიძე საფუძველიანად გაეცნო რუსულ. და ფრანგულ სიმბოლიზმს და თვითონვე გახდა საქართველოში სიმბოლიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და მიმდევარი, მაგრამ რომელი დიდი ნიჭი დარჩენილა რაიმე თეორიის ტყვეობაში, რომ ტიციანი დარჩენილიყო. პოეტის დიდმა ეროვნულმა ტალანტმა ვერ ეგუა სიმბოლიზმის ჩარჩოები. სწორედ იმ ჩარჩოების მსხვრევის შედეგად შექმნა მან ის შედევრები, რომლებმაც განსაზღვრეს მისი უკვდავება.

მრავალფეროვანი და მასშტაბური იყო ტიციან ტაბიძის სულიერი ინტერესების არეალი. ლიტერატურასთან ერთად იგი სწავლობდა ისტორიის, ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის, ესთეტიკის, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. მისი ოჯახი ევროპელი რანგის ლიტერატურული სალონი გახლდათ, სადაც თავს იყრიდნენ რუსეთისა და მოძმე რესპუბლიკების იმდროინდელი გამოჩენილი მწერლები, ლიტერატორები, ხელოვნების და კულტურის მოღვაწენი.

ტიციანისა და, საერთოდ „ცისფერყანწელთა“ პოეტურმა ნიჭიერებამ, პიროვნულმა მომხიბვლელობამ, ქართულმა სტუმართმოყვარეობამ ბევრი სახელოვანი ჭირისუფალი და დამფასებელი შესძინა ქართულ თანამედროვე კლასიკურ პოეზიას.

ესენი, ანდრეი ბელი, მანდელშტამი, პასტერნაკი, ზამოლოცკი, ტიხონოვი, გოლუკევი, ანტოკოლსკი და რუსული ლიტერატურის ბევრი სხვა დიდოსტატი მოხიბლული იყვნენ ქართული პოეტური აზროვნების ორიგინალობით, სახიერებით, ეროვნული თვითმყოფადობით. ისინი მხურვალე პროპაგანდას უწევდნენ ქართული პოეზიის თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ტიციან ტაბიძემ დროულად დაგმო ბოჰემური არტისტიზმი, ფრანგი სიმბოლისტების, სერეალისტებისა და დადაისტების ესთეტიკური პრინციპები და მისი ფეთქებასთან ერთად იგი სწავლობდა ისტორიის, ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის, ესთეტიკის, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. მისი ოჯახი ევროპელი რანგის ლიტერატურული სალონი გახლდათ, სადაც თავს იყრიდნენ რუსეთისა და მოძმე რესპუბლიკების იმდროინდელი გამოჩენილი მწერლები, ლიტერატორები, ხელოვნების და კულტურის მოღვაწენი.

ტიციანისა და, საერთოდ „ცისფერყანწელთა“ პოეტურმა ნიჭიერებამ, პიროვნულმა მომხიბვლელობამ, ქართულმა სტუმართმოყვარეობამ ბევრი სახელოვანი ჭირისუფალი და დამფასებელი შესძინა ქართულ პოეზიას.

ესენი, ანდრეი ბელი, მანდელშტამი, პასტერნაკი, ზამოლოცკი, ტიხონოვი, გოლუკევი, ანტოკოლსკი და რუსული ლიტერატურის ბევრი სხვა დიდოსტატი მოხიბლული იყვნენ ქართული პოეტური აზროვნების ორიგინალობით, სახიერებით, ეროვნული თვითმყოფადობით. ისინი მხურვალე პროპაგანდას უწევდნენ ქართული პოეზიის თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ტიციან ტაბიძე დროულად

შოთა ნიშნიანიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

სიმონ ჩიქოვანი იხსენებდა, თუ როგორი სიმძაფრით განიცდიდა იგი შემოქმედების პროცესს, სულიერ მტეხარობას. ლექსს დაბადება ჩქმეთის წარღვნას უდრისო. რიცა ის ამბობდა —

ლექსს მე ვუწოდებ
მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს.

ეს იყო არა დეკლარაცია, არა პოეტური ჰიპერბოლა, არამედ ლექსის შექმნის მისეული თვითშეგრძნება.

უტყუარი იყო ანდრეი ბელის დიაგნოზი: —

— Табидзе — сердечный вулкан, бьющий пламенем в мысль, отчего расширяется сердце.

ამიტომაც არ აბეჯავა პოეტის ლექსებს ზედმეტი რანდვა და რაფინირება. ყოველი მისი ლექსი ეროვნი ამოთქმით დაწერილს ჰგავს.

ტიციანის მომხიბვლელი პიროვნება და საერთოდ მისი არსებობა ბევრს ნიშნავდა პოეტის მეგობრებისათვის, კოლეგებისათვის.

საკუთარი მისიის ნათელხილვით ის იყო პოეტი, რომელსაც ყოველს წარმხოცი დრო ცხოვრებაში იმიტომ „უმალვადა ბედნიერებას“, რომ შემოქმედისთვის კეთვნილი ადამიანური ბედნიერება ეს განცდა მის მთლიანად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, სულის ამხდომამდე გაეღო პოეზიის სამსხვერპლოზე.

ამიტომ ჭქონდა მას უფლება წარბშეუხრელად ეთქვა თავის თავზე, რომ „ბედნიერება მან ლექსებს მისცა“.

და მართლაც, თუ ჩვენი საუკუნის რომელიმე ქართველი პოეტის სულსა და ლექსზე არის წარუშლელი დაღი უკვდავებისა, ტიციან ტაბიძის ლექსი და სული ერთი მთელანია.

მომიტევონ სხვებმა, მაგრამ, როგორც მისი სულისა და ლექსის უმცროსი ნაშიერი, მე გულწრფელად ვეღიარებ, ცხადად ვხედავ, ვგრძნობ, განვიცდი, რომ დღესაც:

მისი ფიცხი ლექსი ხივრცეებს
გაბაყვნის,
ჭიხვინით ათამაშებს დაფრიან
კისერს,
მგონსებს მიუხტება ურა
ულაყივით
და მძიმე ტორებით
უხლეწავს ხიზრებს.

მისი ეს მოვარდნა, შეკავლების ხმა, მხარზე ხელის დადება დღეს განიცდება, როგორც თანადგომა ერისა და პოეზიის ამოცანებისადმი ფანატიკური ერთგულების შემთხვევაში, და როგორც გაფრთხილების, განგაშის ხმა მისგან გადაარის, მისდამი ღალატის, მისდამი სულიერი და ზნეობრივი კომპრომისისს.

ასე დგას ცოცხალი ტიციანი ჩვენს შორის და ამიტომ ვხრით თავს მოწიწებით მის წინაშე.

ტიციან ტაბიძე.
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის ვ. რუსაკის ნახატი.

მოსკოვშრ დღმურგ

ფილმზე „ანარეკლი“

ჟანრდა

საკავშირო კინოს ცენტრალურ სახლში გაიმართა მხატვრული ფილმის „ბაგრატიონის“ ჩვენება. ფილმის დამდგმელი რეჟისორები არიან გ. ჭოხონელიძე, ვ. მგელაძე, სცენარი ეკუთვნის ვ. სოლოვიოვს გ. ჭოხონელიძის მონაწილეობით, ოპერატორია. ... კლიმოვი, მხატვრები — ე. მარკოვი, ნ. ფიერმანი, კომპოზიტორი — ვ. ოვჩინიკოვი. ფილმში როლებს ასრულებენ: ბაგრატიონი — გ. ჭოხონელიძე, ა. სუვოროვი — ი. ... ტანინ-ბარაცევი, მ. კუტუზოვი — მ. კუზნეცოვი, ნაპოლეონი — ჟ. ლოლაშვილი...

ფილმის ჩვენების შემდეგ თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა ა. პალეევმა: „სურათში კარგად იგრძნობა იმ ეპოქის სუნთქვა, გამოკვეთილი და დახვეწილი არიან მთავარი გმირები, მშვენიერია ბატალური სცენები. მიხდა განსაკუთრებით მოეხსენიონ კლასიკური სამკუთხედი დიდი მხედართმთავრებისა — ა. სუვოროვი, მ. კუტუზოვი, პ. ბაგრატიონი, რამდენი სითბო და ეაკაცობა, შემართება და სამშობლოსადმი თავდადება მათს ხასიათში... მახსენდება ცნობილი საბჭოთა მწერლის ა. კრივიცკის სტრიქონები: „ომის დღეებში მეგობრული დამოკიდებულება ადამიანურ ურთიერთობათა განსაკუთრებული ნიშანსვეტია, ...გახსოვთ როგორ უყვარდათ სუვოროვს და კუტუზოვს ბაგრატიონი? და მაინც ვის აყენებდნენ ყველაზე სახიფათო ადგილას? — ბაგრატიონს, შეტევის დროს ვინ იყო ავანგარდში? — ბაგრატიონი, ბოროდინოს ველზე ვინ იყო დაცვის სული და გული? — ბაგრატიონი. უყვარდათ, პატივს ცემდნენ იმიტომ, რომ იცოდნენ — შეიძლებოდა მასზე დაყრდნობა“...

ამერიკელი კომპოზიტორის აზრით

მეგობარობის სახლში და საკავშირო კომპოზიტორთა სახლის სცენაზე გაიმართა მანპატენის სიმფონიური კვარტეტის კონცერტი. კვარტეტის წევრები ე. ლუსინი, რ. ლუსინი, ჯ. დეკსტერი და ჯ. გლიდი, ნიუ-იორკში არსებული მანპატენის მუსიკალური სკოლის აღზრდილები ათწლეულ და დღეს სამართლიანად უწოდებენ ერთ-ერთ საუკეთესო კვარტეტს საშობლოშიც — ამერიკის შეერთებულ შტატებში და მის საზღვრებს გარეთაც... კვარტეტის რეპერტუარი მრავალფეროვანია: ჰაიდნიდან ბრამსამდე, პროგრამაში აქვთ ავრეთვე თანამედროვე კომპოზიტორების მუსიკა.

გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ ფურცლებზე, რომელიც რუსეთის ზარდა, უცხოეთის 6 ენაზე გამდიოს, მუსიკათმცოდნე ვ. სიმეონ ბაბაზიანი, სფინქსეთი, ვფრ, პოლონეთი და მექსიკა). ოდესმე ჯაუფში მოხვდებიან დანარჩენები, ზეილსყრა გაარკვევენ. მეორე ეტაპის თამაშებს შემორჩენა 16 ჯუნები. ამჯერად მათს ბეჭედრებს სათასო ხასიათი ეკნება: ზეგებული კოლეკტივი სპარიზო ავ გილისათვის ბრძოლას ეთიშება.

ჟურნალისტ „ტორპედოს“ ოცზე ბურთელთა ვეფხვმა, რომელიც ინდონეზიაში იმყოფება, მესაფე ამბანაგური შეხვედრა გამართა. ... ქამად მისი მეტოქე იყო ბანდუნგის „პერსიბი“, რომელიც ახლ ეროვნული ჩემპიონატის გათამაშება ცხრილში მეოთე ადგილ ზეა. ქუთაისელებმა ეს მატჩიც კარგად წარმართეს და მესამე გამარჯვება მოიპოვეს — 3:1.

ᲧᲐᲑᲐᲜᲘ

სატურნირო ორბიტა

ნონა გაფრინდაშვილი სსრ კავშირის ჩემპიონია

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲘ. ერეკვაში მთავრდება ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ბოლოსწინა, მეთექვსმეტე ტურში ყოიმით დამთავრდა ს. მატვეევა. აზარუმოვას შეხვედრა. ნ. გაფრინდაშვილმა პარტია გადაიო. ... სახატოვასთან, რომელიც გუშინ ყაიმით დამთავრა. ყაიმით დასრულდა ავრეთვე გურიელ-ლიტინსკაია, გურიელ-ბუჩიეკის და ლიტინსკაია-ბუჩნიკის პარტიები 16 ტურის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილს 12 ქულა აქვს და სსრ კავშირის ჩემპიონობა გაინადგა. გურიელს და ლიტინსკაიას 10,5-10,5 ქულა, მატვეევას — 10.

მაშ ასე, ჩემპიონი გამოვლინდა, ხოლო ბრონ ტურში ვაირკვევა, თუ ვინ დაიკავებს II და III საპრიზო ადგილებს.

შეხვედრები. როგორც ცნობილია, 15 დეკემბერს გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების წილისყრა, რომელი შედეგადაც 24 გუნდი დაიყოფა 6 ჯგუფად. ცნობილია ამ ჯგუფების თითო „მეთაური“ გუნდი (იტალია, ბრაზილია, საფრანგეთი, ვფრ, პოლონეთი და მექსიკა). რომელ ჯგუფში მოხვდებიან დანარჩენები, წილისყრა გაარკვევენ. მეორე ეტაპის თამაშებს შემორჩენა 16 გუნდი. ამჯერად მათს ბეჭედრებს სათასო ხასიათი ეკნება: ზეგებული კოლეკტივი სპარიზო ავ გილისათვის ბრძოლას ეთიშება.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ტორპედოს“ ოცზე ბურთელთა ვეფხვმა, რომელიც ინდონეზიაში იმყოფება, მესაფე ამბანაგური შეხვედრა გამართა. ... ქამად მისი მეტოქე იყო ბანდუნგის „პერსიბი“, რომელიც ახლ ეროვნული ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში მეოთე ადგილ ზეა. ქუთაისელებმა ეს მატჩიც კარგად წარმართეს და მესამე გამარჯვება მოიპოვეს — 3:1.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

უჭკნობი პოეტური მემკვიდრეობა

ირაკლი აბაშიძე

მაშინ იგი ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის კაცი იყო.

ᲗᲣᲛᲪᲐᲠᲘᲡ პოეტი. როგორც ძველად იტყოდნენ — პოეტი ღვთით.

თქვა კიდეც თავის თავზე: „მე არ ეწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს...“ და „ვარ იდუმალი მხოლოდ მიზრაფი...“

ოცდაინ წლების ბოლო, ოცდაათიანი წლების დასაწყისი...

ამ წლების ლექსებით შეიყვარა იგი მისმა მკითხველმა, ჩვენმა ხალხმა, ეს წლები განსაკუთრებით ნაყოფიერია ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში: „სურგი ესენინს“ და „ანანურთან“, „სენტიმენტალური მოგზაურობა“ და „თამუნია წერეთელს“, „ილიასი“ და „გალაკტიონ ტაბიძეს“, „დაღესტნის გაბაფხული“ და „რინა-რინა“, „ლექსი მეწყერი“ და „სომხეთში“, „ორი ირაგვი“ და „ალავერდობა“, „მუსრანის ველზე სამეფოი ლექსი“ და „ამრილი ორპირნი“, „მე ყაზაღებმა მომალეს ალიაგზე“ და „მაშ, გამარჯვება“, „ამოდის, ნათდება“ და „გულდაგულ“, „ოქროყანა“ და „ოროალ“ ამუნდსენ“, „რინონ-პორტი“ და „გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“... დიახ, ეს წლები პოეტის დიდი პოპულარობის წლებია.

რუსეთელის პროსპექტზე დილით მისი გამოჩენა, როცა იგი სპოვნენებისაგან ტეტრის თავს ვერ უყრიდა, იმას ნიშნავდა, რომ მას ჯიბეში ახალი, იმ ღამით დაწერილი ლექსი ედო. ჩქარი ნაბიჯით გაპყვებოდა რუსთაველის პროსპექტს, მაგრამ იქვე შეეძლო პირველ სასურველ შემხვედრთან მთელი საათი ესაუბრა.

თვალწინ მიდგას ტიციან ტაბიძის მონუმენტურად გამოკვეთილი სახე...

საკმაოდ სქელი, ფაფუკი აღნაგობა, ყოველთვის სუფთად გაპარსული „უალიდის პროფილი“, ხელში ყოველთვის ანთებული პაპიროსი; ზაფხულობით გაქანქარებული „ტოლსტოკა“ და მკერდზე, რასაკვირველია, წითელი მიხაკი. ნაზორობით — ნაცრისფერი „ფეპკა“ და „კოლიბიდის დაბლობის ამოშრობის უდიდესი ენტუზიასტის“... „ფანტასტიკური ინკინრის“ ვასილი ავდეევის მიერ ნასახსოვრები საზღვარგარეთული პალტო, რაც მაშინ ჩვენში ასე იშვიათი იყო, და რომელიც წყობად და უკუღმაც შეიძლებოდა ჩაგეცვამ, იმის მიხედვით, დარი იდგა თუ ავდარი, გაკრიალებულ ფეხსაცმელებზე ყოველთვის გრძლად გადმოყრილი ზონრები. და თითქოს ახლაც ისმის მისი ეკაკიმერულად გაბმული „ქართველი“... „მე დავიბადე აპრილის თვეში“... სიცოცხლის უსაზღვრო ტრფიალს გაგიყვნიან უყვარდა თავისი დაბადების თვე. თვალწინ მიდგას ტიციან ტაბიძის მონუმენტურად გამოკვეთილი სახე, და ისევ ეღერს ბორის პასტერნაკის სტრიქონები:

«Он плотен, он шатен,
Он смертен, и однако
Таким, как он, Роден
Изобразил Бальзака».

ტიციან ტაბიძეს ვლადიმერ მაიაკოვსკისებურად შეეძლო ეთქვა მომავალი მკვლევრებისათვის:

„მკვლევარო, დადე
ეგ სათვალე —
ველოსიპედი,
მე თვითონ გაგიცნო
ჩემი დრო და ჩემი სიფათი“.

„პოეზიაში მე დავიწყე „ქალდეას ქალაქებით“, სიიდანაც მცემდა დამწყური ქალაქებისა და გადასულ კულტურათა ჩამქრალი ცეცხლის ბოლი და კვამლი. ქალდეა მაშინ ჩემთვის პირველი ბუდე იყო ძველი საქართველოსი. ახლა მე ეხედავ ამომავალი ᲨᲠᲛᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲚ სოციალისტურ ქალაქებს“..., როცა დედაბუდიანად იცვლება ძველი ყოფა-ცხოვრება და მიწისძვრის ტემპით იბადება ახალი სამყარო“... „მართალია, მე ხშირად ვცდებოდი, მაგრამ არასოდეს ვყოფილვარ მარტო „დადაისტი“ და ყოველთვის მაწვალებდა ჩემი ქვეყნის ბედი“.

ამ სტრიქონებს ტიციან ტაბიძე წერდა მაშინ, როცა ქმნიდა ოთხ ტაბიძესთან და ჩვენი საუკუნის ამ ახალი თაობის სხვა რამდენიმე პოეტთან ერთად დიდი ღვაწლი დასდო ქართული პოეტური სიტყვის განახლებასა და ამაღლებას, მის ახლებურ აღიარებას მსოფლიოს პოეტურ მესეიანში.

რეგოლუციის წინა წლების გაღარიბებულ ქართულ მხატვრულ აზროვნებასა და პოეტურ მიმოქცევაში უცვნ გრიგალივით შემოიჭრა ქართველი მკითხველისთვის სრულიად მოულოდნელი მეტაფორები, გაბედული შედარებები, ზოგჯერ თავსატეხი პოეტური სიმბოლოები. უეცრად გაისმა საქართველოსთვის ჯერ უცნობი სახელები გასული და ჩვენი საუკუნის ევროპელი და რუსი პოეტებისა — რემბო და მალარმე; ედგარ პო და ლოტრეამონი; ბლოკი და ანენსკი, ბელი და ბალტრუშაიტისი... ამ სიმის სათავეში, პირველ ყოვლისა, იდგა ორი პოეტი ტაბიძეების საგვარეულოდან. ერთი მათგანი — ტიციან ტაბიძე.

ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის ისტორიაში კარგად არის შესწავლილი ეს ახლის ძიების პერიოდი, რომელსაც, ლიტერატურის ისტორიაში ყველა ახალი მოძრაობის მსგავსად, თავისი საყაზრეთო სენიც ახლდა თან, რაიც ათეული წლებით არ გაგრძელებულა. იგი დამთავრდა ქართული ᲮᲔᲛᲨᲠᲘᲢᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲘᲗᲘ ლექსის გამარჯვებით. ტიციან ტაბიძის ლექსიც საბოლოოდ ამ გზით წავიდა.

* * *

ტიციან ტაბიძეზე ჩვენნაც ის შეგვეძლია თავისუფლად გვემეოროთ, რაც მაქსიმ გორკეს სერგეი ესენინზე უთქვამს: „სერგეი ესენინი არა იმდენად ხორცეული ადამიანია, რამდენადაც ორგანი ბუნების მიერ მხოლოდ პოეზიისთვის შექმნილიო“ და, ამ გასსენებაზე, ეს ერთნელ კიდევ გავიმეოროთ იმიტომაც, რომ უსათუოდ არის ნათესაობა ამ ორი შემოქმედის პოეტურ სამყაროში; მე აქ ვგულისხმობ დაუოკებელ პატრიოტიზმს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, რუსი პოეტის მთელ შემოქმედებას თავიდან ბოლომდე რომ მოსდევს და ქართველი პოეტის საბჭოური პერიოდის ლექსებს რომ აცოცხლებს.

ეს ორი პოეტი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან და ერთნაირადაც ინაწილებენ იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკის საყვედურებსაც: „ბევალ, მივდივარ და მივიმღერი და საქართველოს მომაქცევ“... **«Если крикнет рать святая: Кинь ты Русь, живи в раю!» — Я скажу, не надо рая, дайте родину мою»** „ნეტავ არ გკრდეს სულიც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“... **«Но более всего любовь к родному краю меня томила, мучила и жгла»...**

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, მგზნებარე პატრიოტულმა ლირიკამ უდავოდ შეიწერა ხელი სერგეი ესენინის პოეზიის ეროვნულ ეპატრიოტიზმს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, რუსი პოეტის მთელ შემოქმედებას თავიდან ბოლომდე რომ მოსდევს და ქართველი პოეტის საბჭოური პერიოდის ლექსებს რომ აცოცხლებს.

ეს ორი პოეტი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან და ერთნაირადაც ინაწილებენ იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკის საყვედურებსაც: „ბევალ, მივდივარ და მივიმღერი და საქართველოს მომაქცევ“... **«Если крикнет рать святая: Кинь ты Русь, живи в раю!» — Я скажу, не надо рая, дайте родину мою»** „ნეტავ არ გკრდეს სულიც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“... **«Но более всего любовь к родному краю меня томила, мучила и жгла»...**

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, მგზნებარე პატრიოტულ-